ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №50

20.10.2020 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
4. დავით რურუა - კომისიის წევრი;
5. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032029367-03; 19.10.2020);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032029367-03; 19.10.2020);**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032029367-03; 19.10.2020);**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032029367-03; 19.10.2020).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

მომხსენებლები:

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032029367-03; 19.10.2020):**

თ.ისაკაძე - მოგესალმებით, რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში 2020 წლის პირველი ოქტომბრის №64-107 დადგენილებით შეტანილი ცვლილებით, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს დედაქალაქის

ადმინისტრაციულ საზღვრებში დაინერგა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა (შემდგომში - ინტეგრირებული სისტემა), რომელიც ითვალისწინებს მისი ფუნქციონირებისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის შესაბამის ვალდებულებებს და ინტეგრირებული სისტემის დანერგვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს, აღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

ვ.აბულაძე - მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, დაევალა ხელშეკრულების გაფორმება ნებართვის მფლობელთან, რომლითაც უნდა დარეგულირდეს მომსახურების გაწევის წესი და პირობები, მათ შორის მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხის ანაზღაურების ოდენობა და წესი. ვინაიდან არსებული წესის მიხედვით, ინტეგრირებული სისტემა ხელშეკრულების გაფორმებამდე არ ითვალისწინებდა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების სატრანსპორტო საშუალებების ჩართვას, ხოლო ფაქტობრივი მდგომარეობით, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემოყვანილი იქნა ინტეგრირებულ სისტემაში ჩასართავი ავტობუსები, დღის წესრიგში დადგა წესის 18[1] მუხლში 4[1] პუნქტის დამატება („4[1]. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების გაფორმებამდე, განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ პირობებს, მათ შორის მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხის (მძღოლის შრომის ანაზღაურება და საწვავის ხარჯი) ოდენობას და უნაზღაურებს ნებართვების მფლობელებს მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელ თანხას. ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსებზე მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება მხოლოდ ელექტრონული გადახდის საშუალებებით.“), რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების გაფორმებამდე, განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ პირობებს, მათ შორის მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხის (მძღოლის შრომის ანაზღაურება და საწვავის ხარჯი) ოდენობას და უნაზღაურებს ნებართვების მფლობელებს მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელ თანხას. ამავე დროს, ინტეგრირებული სისტემის ერთ-ერთი ნოვაცია იმაში მდგომარეობს, რომ მგზავრობის ფასის გადახდის საშუალებად განისაზღვრება მხოლოდ ელექტრონული გადახდა ნაცვლად, დღეის მდგომარეობით არსებული ე.წ. ,,შერეული ტიპის“ გადახდისა, რომელიც, ელექტრონულ გადახდასთან ერთად თავის თავში მოიცავს მგზავრობის ფასის ნაღდი ფულით გადახდასაც.

იმ დრომდე, სანამ სრულად მოხდება მარშრუტების დაკომპლექტება M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, მანამდე ავანაზღაურებთ მძღოლის და საწვავის ხარჯს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032029367-03; 19.10.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032029367-03; 19.10.2020):**

ვ.აბულაძე - აღნიშნული ცვლილებაც დაკავშირებულია სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვასთან. მოგეხსენებათ, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებით დამტკიცებული წესის 18^1 მუხლის პირველი პუნქტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩასართავი ავტობუსების მარშრუტებს. მოცემული პროექტით, მტკიცდება მგზავრობის ფასის ოდენობა აღნიშნულ მარშრუტებზე.

უფრო კონკრეტულად, დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველ მუხლს, პირველი პუნქტის შემდეგ, ემატება შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფი/ფასი დამტკიცდეს 0,8 ლარის ოდენობით (ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას - 0,65 ლარის ოდენობით)“;

ამასთან, პირველი მუხლის მეორე პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (ლოტების მომსახურებაზე) ნებართვების მფლობელებმა შპს „თბილ ლაინმა“ (ს/კ 404392260), შპს „კაპიტალ გრუპმა“ (ს/კ 202353194), შპს „თბილ ქარმა“ (ს/კ 404393241) და შპს „ფაბლიქ ქარმა“ (ს/კ 404392411) მომსახურების გაწევა განახორციელონ ამ მუხლის პირველი და 1^1 პუნქტებით დადგენილი მგზავრობის ტარიფების/ფასის შესაბამისად.“

დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის 24 ოქტომბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032029367-03; 19.10.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი: **(12-032029367-03; 19.10.2020):**

დ.ჯაიანი - როგორც მოგეხსენებათ, თბილისის მერიას უკვე ჩაბარდა ფრანგული კომპანია „სისტრა“-ს კვლევა, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და მგზავრობის ავტომატიზირებული გადახდის ინტეგირებული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით. კვლევის მიხედვით, გვაქვს ახალი ქსელი და უნდა გადავიდეთ ახალ სისტემაზე. მოცემული დადგენილების პროექტით, განისაზღვრება ის მარშრუტები (M_2 კატეგორია), რომლებიც უნდა ჩაერთონ სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემაში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად, ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების ნომრებია: 401, 402, 404, 405, 447, 466. წარმოდგენილი მარშრუტების ჩამონათვალი ახალ რედაქციაში დანართი 2-ის სახით იქნება წარმოდგენილი. პროექტის თანახმად, დადგენილებას დაემატება დანართი 3, რომლითაც განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების განრიგი.

დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის 24 ოქტომბრიდან.

თ.ისაკაძე - აღსანიშნავია, რომ კომისიას აქვს ტექნიკური სახის შენიშვნები. კერძოდ, დადგენილების პროექტის პირველ პუნქტში არ არის მითითებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ნომერი და მიღების თარიღი. კომისიას მიაჩნია, რომ მოცემული ჩანაწერი უნდა დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2020 წლის 16 ოქტომბრის №20.1223.1522 განკარგულებით** დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2020 წლის 16 ოქტომბრის №20.1223.1522 განკარგულებით** დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 2-ის და მათი განრიგი, დანართი 3-ის შესაბამისად“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით (12-032029367-03; 19.10.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი: **(12-032029367-03; 19.10.2020):**

დ.ჯაიანი - მოცემული დადგენილების პროექტით, განისაზღვრება ის მარშრუტები (M_3 კატეგორია), რომლებიც უნდა ჩაერთონ სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების ნომრებია: 301, 332, 334, 385. წარმოდგენილი მარშრუტების ჩამონათვალი ახალ რედაქციაში დანართი 2-ის სახით იქნება წარმოდგენილი. ამასთან, ვინაიდან დანართი 2-ში ასახული ავტობუსის (M_3 კატეგორია) №385 მარშრუტით სრულად გადაიფარება ამჟამად მოქმედი №85 მარშრუტი, აღნიშნულის გათვალისწინებით, ეს უკანასკნელი ამოღებულია დანართი 1-დან. პროექტის თანახმად, დადგენილებას დაემატება დანართი 3, რომლითაც განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების განრიგი.

დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის 24 ოქტომბრიდან.

თ.ისაკაძე - აღსანიშნავია, რომ კომისიას აქვს ტექნიკური სახის შენიშვნები. კერძოდ, დადგენილების პროექტის პირველ პუნქტში არ არის მითითებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ნომერი და მიღების

თარიღი. კომისიას მიაჩნია, რომ მოცემული ჩანაწერი უნდა დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2020 წლის 19 ოქტომბრის №20.1225.1523 განკარგულებით** დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2020 წლის 19 ოქტომბრის №20.1225.1523 განკარგულებით** დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 2-ის და მათი განრიგი, დანართი 3-ის შესაბამისად.“

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით (12-032029367-03; 19.10.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე